



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

შვილდი და შვიგოლი ესტონეთის წინააღმდეგ

(განაცხადები N [3501/20](#), [45907/20](#), [43128/21](#))

სამართლებრივი შეჯამება

არაოფიციალური თარგმანი

მომზადებულია თბილისის სააკვლავციო სასამართლოს

თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.

სტრასბურგი

28 ნოემბერი, 2023 წელი



შმიდტი და შმიგოლი ესტონეთის წინააღმდეგ

განაცხადი N3501/20, 45907/20 და 43128/21

გადაწყვეტილება

28.11.2023 [სექცია III]

მე-3 მუხლი

დამამცირებელი მოპყრობა

არაადამიანური მოპყრობა

პენიტენციურ დაწესებულებაში დისციპლინური სახდელებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების თანმიმდევრული (უწყვეტი) აღსრულება, რამაც გამოიწვია სამართლო პატიმრობის ხანგრძლივი პერიოდები: დარღვევა.

ფაქტობრივი გარემოებები

საქმისთვის რელევანტურ პერიოდში ორივე განმცხადებელი სასჯელს იხდიდა ვირუს პენიტენციურ დაწესებულებაში. თითოეულ მათგანს დაეკისრა დისციპლინური სახდელების სერია სამართლო საკანში საკარანტინო რეჟიმის ქვეშ, ძირითადად, მათზე დაკისრებული შრომითი ვალდებულებების შესრულებაზე უარის თქმის გამო. ერთ შემთხვევაში, პირველი განმცხადებელი ჩაკეტილ იზოლაციურშიც მოათავსეს, უსაფრთხოების ღონისძიების სახით. ამ ღონისძიებათა თანმიმდევრულმა აღსრულებამ, პირველი განმცხადებლის მიმართ, გამოიწვია სამართლო საკანში მისი უწყვეტი განთავსება 566 დღის განმავლობაში (2016 წლის 20 მაისი - 2017 წლის 6 დეკემბერი) და მეორე განმცხადებლის მიმართ - 482 დღის განმავლობაში (2016 წლის 1 ივნისი - 2017 წლის 26 სექტემბერი). ასევე, პირველმა განმცხადებელმა თავდაპირველად გაატარა 30-დან 69 დღემდე, 6-დან 36 დღემდე წყვეტით (2015 წლის 27 ივნისიდან 2016 წლის 10 მაისამდე), სამართლო საკანში კარცერის ან ჩაკეტილი საიზოლაციო-საკანის რეჟიმის ქვეშ.

ზემოაღნიშნულ ორ ხანგრძლივ პერიოდთან დაკავშირებით, ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ დისციპლინური სახდელების თანმიმდევრული აღსრულება უკანონო იყო და არღვევდა განმცხადებლების უფლებებს. განმცხადებლებს მიაკუთვნეს, შესაბამისად, 1700 ევრო და 1500 ევრო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის. ამავდროულად, სასამართლომ დაადგინა, რომ პირველი განმცხადებლის მიერ უფრო მოკლე

პერიოდებით სამართლო საკანში ყოფნა კანონიერი იყო და არ არღვევდა მის უფლებებს.

სამართლებრივი შეფასება

მე-3 მუხლი:

(i) წინასწარი შენიშვნები დისციპლინური სახდელის სახით სამართლო პატიმრობის გამოყენების შესახებ - სასამართლომ გამოხატა ძლიერი შეშფოთება სამართლო პატიმრობის, როგორც დისციპლინური ღონისძიების, ხანგრძლივი და თანმიმდევრული პერიოდით გამოყენებასთან დაკავშირებით. პრინციპში, ასეთი პრაქტიკა შეუთავსებელი იყო მე-3 მუხლთან, გარდა იმისა, რომ მთავრობას შეეძლო წარმოედგინა დამაჯერებელი მიზეზები განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებიც გაამართლებდა ასეთ პრაქტიკას და ეჩვენებინა, რომ ასეთი დისციპლინური სასჯელი მართლაც გამოიყენებოდა, როგორც უკიდურესი საშუალება. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის A/RES/70/175 რეზოლუციაზე „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესების შესახებ (ნელსონ მანდელას წესები)“ და პენიტენციური დაწესებულების ევროპულ წესებზე მითითებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ სამართლო პატიმრობა პირს უნდა შეეფარდოს მხოლოდ გამონაკლისის სახით, როგორც უკიდურესი ზომა და ისიც დროის უმოკლეს მონაკვეთში.

წამების, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის პრევენციის ევროპულმა კომიტეტმა (CPT) მკაცრად გააკრიტიკა ესტონეთის ხელისუფლება საკუთარ ანგარიშებში (CPT/Inf (2014) 1 და CPT/Inf (2019)) სამართლო პატიმრობის, როგორც დისციპლინური ზომის, გადამეტებული გამოყენების გამო და ცალკეული სანქციების თანმიმდევრული გამოყენებისათვის, რამაც გამოიწვია სამართლო პატიმრობის ძალიან ხანგრძლივი პერიოდები. CPT-მა ასევე აღნიშნა, რომ ზრდასრული პატიმრების სამართლო საკანში მოთავსების მაქსიმალური 45-დღიანი კანონიერი ლიმიტი ზედმეტად ხანგრძლივი იყო და არსებითად უნდა შემცირებულიყო. მართლაც, ეს ზღვარი, რომელიც, პრინციპში, უნდა მოქმედებდეს ძალადობისგან დასაცავად, იყო არა მხოლოდ სამჯერ მეტი, ვიდრე CPT-სა და გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ განსაზღვრული მაქსიმალური პერიოდი (14 დღე და 15 დღე ზედიზედ), არამედ, ასევე, იქცა პრაქტიკულად უსარგებლოდ, ვინაიდან რამდენიმე დისციპლინური სახდელის ზედიზედ აღსრულება პრაქტიკაში შესაძლებელი გახდა.

სასამართლომ ვერ უგულებელყო ის, რაც, როგორც ჩანს, ჩვეული პრაქტიკა იყო ვირუს პენიტენციურ დაწესებულებაში - პატიმართა დასჯა სამუშაოზე უარის

თქმის გამო, სამართლო საკანში მოთავსებით. ამასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ თავისუფლების აღკვეთის შესახებ აქტის მიხედვით, სამართლო საკანში განთავსება დისციპლინური სახდელებიდან ყველაზე მკაცრი ზომა იყო.

გარდა ამისა, სასამართლოს შეფასების გარეშე არ დაუტოვებია დისციპლინისა და პენიტენციურ დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვის საჭიროება. სხვადასხვა სიმძიმის დარღვევამ შეიძლება მოითხოვოს განსხვავებული რეაგირება და სანქციები. თუმცა, სასამართლოს წინაშე არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით, არსებობდა ძლიერი ეჭვი, ვირუს პენიტენციურ დაწესებულებაში გამოიყენებოდა თუ არა სამართლო საკანში განთავსება მართლაც გამონაკლისად და როგორც უკიდურესი ღონისძიება. ასევე ღია იყო კითხვა, ასეთი სავარაუდო ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის პირობებში, რამდენად ხდებოდა იმ საკითხის (ხელახალი) შეფასება, აღწევდა თუ არა დაკისრებული დისციპლინური ღონისძიება თავის მიზანს.

(ii) განმცხადებლების სამართლო პატიმრობის პირობების საერთო შეფასება - ხანგრძლივი სამართლო პატიმრობა იწვევს ნებისმიერი ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების თანდაყოლილ რისკს, განურჩევლად მატერიალური თუ სხვა პირობებისა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამართლო პატიმრობის პირობებისა და ზემოქმედების საშუალებების გამოყენება უფრო შეზღუდულ პერიოდებთან მიმართებით; ის ფაქტი, რომ ორივე განმცხადებელი იმყოფებოდა რეგულარული სამედიცინო მეთვალყურეობის ქვეშ და რომ გრძელვადიან სამართლო პატიმრობას არ გამოუწვევია მათი ფიზიკური ჯანმრთელობის შესამჩნევი გაუარესება.

თუმცა, გარდა ფსიქოლოგთან შეხვედრის იშვიათი შესაძლებლობისა და ფსიქიატრთან კონსულტაციის მოთხოვნის შესაძლებლობისა, არ ჩანდა, რომ პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობის ინიციატივით, გონივრულ, რეგულარულ ინტერვალებში, განხორციელდა რაიმე ღონისძიება, რომელიც შეაფასებდა განმცხადებლების ფსიქოლოგიურ უნარს გამკლავებოდნენ ხანგრძლივ სამართლო პატიმრობას და მის გავლენას მათ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პატიმრებს, რომლებიც სამართლო საკანში ხანგრძლივად იმყოფებოდნენ, განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებოდათ, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო ზიანი, რაც ამ ღონისძიებას შეეძლო მათთვის მიეყენებინა. ხანგრძლივ სამართლო პატიმრობაში მყოფ პატიმრების მიმართ ყოველთვის ვერ იარსებებს მოლოდინი, რომ მათ ექნებათ საჭირო ინფორმაცია და შესაძლებლობა, გამოავლინონ საკუთარი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და მოითხოვონ სპეციალისტის ჩარევა. გარდა ამისა, ისეთ შემთხვევებში, როდესაც დისციპლინური სახდელების თანმიმდევრული აღსრულების შედეგად, პატიმრები ატარებდნენ დიდ პერიოდს სამართლო საკანში,

ფსიქოლოგთან ან ფსიქიატრთან რეგულარული წვდომის მინიჭება, თავისთავად, ვერ გაამართლებდა ან მართებულს გახდიდა მათ განგრძობად ყოფნას ასეთ პირობებში.

რაც შეეხება პროცედურულ გარანტიებს, განმცხადებლებმა იცოდნენ სადავო დისციპლინური და უსაფრთხოების ღონისძიებების დაწესების მიზეზები და შეეძლოთ მათი გასაჩივრება შიდა სასამართლოებში, მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს. მათ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ - და გაასაჩივრეს კიდევ - ის მეთოდი, როგორც აღსრულდა ღონისძიებები მათ მიმართ. მათი არგუმენტები შეფასდა იურისდიქციის სამ დონეზე და ეროვნულმა სასამართლოებმა დეტალურად გააანალიზეს მათი მდგომარეობა და ის პირობები, რომლებშიც მათ სამართლო საკანში ყოფნა უწყვედათ.

(iii) სასამართლოს შეფასება განმცხადებელთა სამართლო პატიმრობის კონვენციის მე-3 მუხლთან თავსებადობასთან დაკავშირებით - სასამართლო დაეთანხმა უზენაესი სასამართლოს მსჯელობას და დაადგინა, რომ მაშინაც კი, თუ გადაწყვეტილებები გარკვეული ზომების გამოყენების შესახებ (დისციპლინური სახდელი ან უსაფრთხოების ღონისძიებები) შეიძლება თავად იყოს კანონიერი, მათი უწყვეტი აღსრულება მაინც შეიძლება მიუღებელი იყოს მე-3 მუხლის თვალსაზრისით.

რაც შეეხება სამართლო პატიმრობის უფრო ხანგრძლივ პერიოდებს, სასამართლომ ვერ დაინახა იმის საფუძველი, რომ შიდა სასამართლოებისგან განსხვავებული დასკვნა მიეღო, რომლებიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდნენ, *inter alia*, სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს. ეროვნულმა სასამართლოებმა მხედველობაში მიიღეს პატიმრობის ხანგრძლივობა გონებრივი და ფიზიკური სტიმულაციის ნაკლებობის ფონზე, ასევე, ხანგრძლივ სამართლო პატიმრობასთან გამკლავებისთვის განმცხადებლების ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობების არსებითად შეფასების მექანიზმის არარსებობა.

რაც შეეხება უფრო მოკლე პერიოდებს, ეროვნულმა სასამართლოებმა ცალ-ცალკე გააანალიზეს თითოეული პერიოდის ხანგრძლივობა და კანონიერება და განიხილეს, იყო თუ არა თითოეული მათგანი დისციპლინური სახდელისთვის განსაზღვრულ 45-დღიან ლიმიტზე ნაკლები ან მეტი; ასევე, შუალედური პერიოდები, რომლებიც პირველმა მომჩივანმა შეძლო გაეტარებინა პენიტენციურ დაწესებულებაში რეგულარული რეჟიმის პირობებში და ის ფაქტი, რომ მას დაწესებული ჰქონდა დახურული საკნის რეჟიმი კარცერის რეჟიმისგან განსხვავებული მიზნებისთვის.

სასამართლომ დაადასტურა, რომ თუ ვინმე დაეთანხმება კანონიერად დაწესებული სანქციებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების აღსრულებას, მაშინ

სამართლო საკანში და პენიტენციური დაწესებულების რეგულარული რეჟიმის ქვეშ მონაცვლეობით ყოფნა, თავისთავად არ ითვლება თვითნებურად ან გადამეტებულად.

ევროპული სასამართლო დაეთანხმა უზენაეს სასამართლოს, რომ რაც უფრო გრძელია სამართლო პატიმრობის ვადები, მით უფრო ხანგრძლივი უნდა იყოს ინტერვენციის პერიოდი, რომლის დროსაც პირი პენიტენციური დაწესებულების რეგულარულ პირობებში იმყოფება - რაც, სავარაუდოდ, ასევე იძლევა სოციალიზაციისა და სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობით დაკავების მეტ შესაძლებლობას. ამის საპირისპიროდ, იმ პირობებში, როდესაც სამართლო პატიმრობის გახანგრძლივებულ პერიოდებს შორის წყვეტა იყო - იზოლაციის ხანგრძლივობასთან შედარებით - მხოლოდ უმნიშვნელო პერიოდებით, ასეთი შესვენებები, სავარაუდოდ, ვერ მისცემდა პირს შვებას, რაც აუცილებელია ხანგრძლივი იზოლაციის რეჟიმის უარყოფითი ეფექტის დასაძლევად. პრინციპში, იგივე მოქმედებს მაშინაც კი, როდესაც სამართლო პატიმრობის თანმიმდევრული პერიოდები სხვადასხვა დისციპლინური ან უსაფრთხოების ღონისძიებების გამოყენების შედეგი იყო - რამდენადაც ამ ზომებს შორის არ იყო მკვეთრი განსხვავება პატიმრობის რეჟიმის განმარტოებით გამოწვეული ხასიათის თვალსაზრისით. თუმცა, სასამართლომ აღიარა, რომ უსაფრთხოების საკითხების მრავალფეროვნების გამო, რომელსაც პენიტენციური დაწესებულების ხელმძღვანელობა უმკლავდება პერსონალის ან პატიმრების ინტერესებიდან გამომდინარე, შესაძლოა, შეუძლებელი იყოს უსაფრთხოების სხვადასხვა ღონისძიების გამოყენების შეჩერება ან გადადება.

მოცემულ შემთხვევაში, სამართლო პატიმრობის პერიოდებს შორის თითოეული წყვეტა, რომელიც მერყეობს 6-დან 36 დღემდე, არ შეიძლება უმნიშვნელოდ ჩაითვალოს. გარდა ამისა, მაშინ, როცა 2015 წლის სექტემბერ-ოქტომბერში დისციპლინური სახდელების ორი სერიის აღსრულებას შორის პერიოდი მართლაც 52 დღე იყო, პირველი განმცხადებელი მაინც იმყოფებოდა ჩაკეტილი იზოლაციის რეჟიმის ქვეშ ამ 52 დღიდან 33 დღე. ამდენად, ის პერიოდი, რომელიც მან გაატარა რეგულარულ რეჟიმში, მხოლოდ 19 დღეს შეადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული კანონიერი და პროპორციული დისციპლინური სახდელის აღსრულების მონაცვლეობა, პენიტენციურ დაწესებულებაში რეგულარული რეჟიმის პირობებში გატარებული გონივრულად ხანგრძლივი ვადით, ავტომატურად არ გამოიწვევდა მე-3 მუხლის დარღვევას, პირველი განმცხადებლის საქმის ირგვლივ არსებული კონკრეტული გარემოებები არ შეიძლებოდა შეფასების მიღმა დარჩენილიყო: მან არა მხოლოდ 11 თვიდან დაახლოებით 8 თვე გაატარა სამართლო საკანში, 2015 წლის ივნისიდან 2016 წლის მაისამდე (თუმცა პაუზებით), არამედ ამ პერიოდს მხოლოდ ათი დღის შემდეგ

მოჰყვა 566 დღე უწყვეტი ყოფნა სამარტოო საკანში. საერთო ჯამში, 2015 წლის ივნისიდან 2017 წლის დეკემბრამდე, პირველმა განმცხადებელმა პენიტენციური დაწესებულების რეგულარული რეჟიმის პირობებში მხოლოდ 2 თვეზე ცოტა მეტი გაატარა.

სასამართლომ დაადგინა, რომ სოციალურ პროგრამებში მონაწილეობის, ინსპექტორთან/საკონტაქტო პირთან და პრობაციის ოფიცერთან შეხვედრების შესაძლებლობა და კაპელანთან (მღვდელთან) და სამედიცინო პროფესიონალებთან რამდენიმე მოკლევადიანი შეხვედრის შესაძლებლობა, არ იყო საკმარისი უარყოფითი ეფექტების შესამსუბუქებლად, რომლებიც წარმოიქმნა პირველი განმცხადებლის განმეორებითი და გახანგრძლივებული პერიოდით სამარტოო საკანში ყოფნისგან.

და ბოლოს, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განმცხადებლებს სამარტოო პატიმრობა შეეფარდათ (ყველა შემთხვევაში, გარდა ერთისა), როგორც დისციპლინური სახდელი, რამაც გამოიწვია მათი იზოლაცია ჯამურად ხანგრძლივი ვადით. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ 45-დღიან მაქსიმალურ ზღვარს, როგორც ჩანს, არანაირი გავლენა არ ჰქონია სახდელის ზედიზედ აღსრულების წესზე, ვინაიდან განმცხადებლები იმყოფებოდნენ სამარტოო საკანში აღნიშნულ ლიმიტზე ბევრად ხანგრძლივი და უწყვეტი ვადით. სასამართლოს ეჭვი გაუჩნდა, ზემოაღნიშნულ გარემოებებში სამარტოო პატიმრობა, როგორც დისციპლინური სახდელის ფორმა, მართლაც იყო თუ არა გამოყენებული, როგორც უკიდურესი ზომა. ნებისმიერ შემთხვევაში, მთავრობას არ წარმოუდგენია დამაჯერებელი მიზეზები საგამონაკლისო გარემოებების არსებობის შესახებ, რომლებიც გაამართლებდა ასეთი ხანგრძლივი სამარტოო პატიმრობის გამოყენებას, როგორც წმინდა დისციპლინურ ღონისძიებას.

შესაბამისად, განმცხადებლების სამარტოო პატიმრობა 2015 წლის 27 ივნისიდან 2017 წლის 6 დეკემბრამდე და 2016 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 26 სექტემბრამდე, რომლითაც ისინი დაექვემდებარნენ რთულ პირობებში ყოფნას, სცილდებოდა პატიმრობისთვის თანდაყოლილი ტანჯვის გარდაუვალ დონეს.

(iv) განმცხადებლების მსხვერპლის სტატუსი შიდა სამართალწარმოებისას მინიჭებული კომპენსაციის გათვალისწინებით - ის, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ დაუდგენიათ პირველი განმცხადებლის უფლებების დარღვევა სამარტოო პატიმრობის უფრო ხანმოკლე პერიოდებთან მიმართებით, არ შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლის სტატუსის დაკარგვის გამამართლებელ გარემოებად. რაც შეეხება უფრო ხანგრძლივ პერიოდებს, ადგილი ჰქონდა დარღვევის არსებითად აღიარებას ეროვნული სასამართლოების მიერ და, შესაბამისად, შესრულდა მსხვერპლის სტატუსის დაკარგვის პირველი პირობა. თუმცა, მსგავს საქმეებში მოსარჩელისთვის მინიჭებული თანხების

გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლებისთვის მინიჭებული თანხები არ წარმოადგენდა სათანადო ანაზღაურებას დარღვევისათვის, მის მიერ მსგავს სიტუაციებში დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით: ისინი არაგონივრულად დაბალია, განმცხადებლების უფლებების დარღვევის ხასიათისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, მე-3 მუხლის მიხედვით. ამიტომ, მთავრობის შუამდგომლობა, განმცხადებლების მიერ მსხვერპლის სტატუსის დაკარგვასთან დაკავშირებით, არ დაკმაყოფილდა.

დასკვნა: დარღვევა (ერთხმად) (პირველ განმცხადებელთან მიმართებით, 2015 წლის 27 ივნისიდან 2017 წლის 6 დეკემბრის ჩათვლით, ყველა პერიოდის განმავლობაში, რომელიც გატარებულია კარცერის რეჟიმში ან ჩაკეტილი საკნის იზოლაციის რეჟიმში; და მეორე განმცხადებლის მიმართ - 2016 წლის 1 ივნისიდან 2017 წლის 26 სექტემბრამდე კარცერის რეჟიმში გატარებული პერიოდი).

მხლი 41: 12,500 ევრო პირველ განმცხადებელს და 8,300 ევრო მეორე განმცხადებელს, მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის.

(იხ. აგრეთვე *Rohde v. Denmark*, 69332/01, 2005 წლის 21 ივლისი, სამართლებრივი შეჯამება; *Ramirez Sanchez v. France* [დიდი პალატა], 59450/00, 2006 წლის 4 ივლისი, სამართლებრივი შეჯამება; *Onoufriou v. Cyprus*, 24407/04, 2010 წლის 7 იანვარი, *Razvyazkin v. Russia*, 13579/09, 2012 წლის 3 ივლისი; *A.T. v. Estonia (no. 2)*, 70465/14, 2018 წლის 13 ნოემბერი; *N.T. v. Russia*, 14727/11, 2020 წლის 2 ივნისი, სამართლებრივი შეჯამება; *Raudsepp v. Estonia*, 22409/18, 2020 წლის 9 ივნისი).